


ეკონომიკური ზრდის ტემპი



2016

რეალური მშპ



3.5%

რეალური
მოხმარება
რეალური
ინვესტიციები



1.7%



1.3%

რეალური
ექსპორტი
რეალური
იმპორტი



16.0%



8.3%

მაკროეკონომიკური პროგნოზები

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

მაკროეკონომიკური პროგნოზები

იანვარი, 2016 წელი

ანგარიშის შესახებ: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატის შესაბამისად, დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზები მიზნად ისახავს წარმოდგენოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ალტერნატიული საპროგნოზო მაჩვენებლები.

შენიშვნა: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პროგნოზების განახლება განხორციელდება წელიწადში ორჯერ დაგეგმილი საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად.

ელ-ფოსტა:	pbo@parliament.ge ; lkavtaradze@parliament.ge ; vchalapeikrishvili@parliament.ge ; tsopromadze@parliament.ge
-----------	--

პროგნოზირების მოდელის შესახებ

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (International Monetary Fund) ფინანსური პროგრამირებისა და პოლიტიკის მოდელის სტრუქტურას, რომელიც ეკონომიკური თეორიებიდან გამომდინარე ერთმანეთთან აკავშირებს ოთხ ძირითად სექტორს:

- რეალური სექტორი
- ფისკალური სექტორი
- საგარეო სექტორი
- მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისი მაკროეკონომიკურ მოდელში აღნიშნულ სექტორებს შორის კავშირები წარმოდგენილია განტოლებების სახით, რომელიც იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. **სააღრიცხვო იგივეობა:** მოიცავს ისეთ განტოლებებს, რომლებიც ასახავს სახელმწიფო ანგარიშსწორების იგივეობებს. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო დანახარჯებისა და წმინდა ექსპორტის ჯამს.

2. **ეკონომეტრიკული განტოლებები:** ასახავს კავშირებს ცვლადებს შორის რომელიც ეყრდნობა ეკონომიკურ მოდელებს. მაგალითად, სამომხმარებლო ხარჯების განტოლება ეყრდნობა დაშვებას, რომ რეალურ მშპ-სა და სესხების რეალურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს გავლენა აქვს სამომხმარებლო ხარჯების მოცულობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განტოლებების შესადგენად გამოყენებულია ისეთი ეკონომიკური მოდელები, როგორებიცაა, ავტორეგრესიული მცოცავი საშუალოს მოდელი, ვექტორული ავტორეგრესია, შეზღუდული ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელი, უმცირეს კვადრატთა მეთოდის შეცდომის შესწორების მოდელი, ბაიესიანური ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი. ამასთანავე, მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელში დაშვებები გაკეთებულია 51 მაკრო-ფისკალურ ცვლადზე, საიდანაც 16 ეგზოგენური დაშვებაა, 31 წარმოადგენს მაკრო-ეკონომეტრიკული მოდელებიდან მიღებულ შეფასებებს (25 მოდელიდან მიღებული შედეგებია, ხოლო 6 მათზე დაფუძნებული გაანგარიშებები) და 4 ცვლადის დაშვება გაკეთებულია ექსპერტული შეფასების საშუალებით.

3. **ტექნიკური განტოლებები:** მოიცავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ისტორიული მონაცემებიდან და სტილიზირებული ფაქტებიდან გაკეთებულ დაშვებებს. მაგალითად, მომსახურების ექსპორტის პროგნოზული მონაცემი ეყრდნობა დაშვებას, რომ მომსახურების ექსპორტის წილი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში უტოლდება ბოლო სამი წლის წილის საშუალოს.

მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი ეყრდნობა 1996Q1-2015Q3 წლების კვარტალურ მონაცემებს. მონაცემთა ბაზა შედგენილია შემდეგი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეალური სექტორის ცვლადები


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფისკალური სექტორის ცვლადები

საქართველოს ეროვნული ბანკი - საგარეო სექტორისა და მონეტარული სექტორის ცვლადები


რეალური სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის მიხედვით 2016 წლისათვის რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის პროგნოზი 3.5%-ს, ხოლო 2017-2019 წლებისათვის საშუალო ზრდა 4.9%-ს შეადგენს.


რაც შეეხება ნომინალურ მშპ-ს, 2016 წლისათვის მოსალოდნელია აღნიშნული მაჩვენებლის 9.8%-ით ზრდა. შესაბამისად, ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მოცულობა 2016 წლისათვის 35,016 მლნ ლარს შეადგენს. ამასთანავე, 2017-2019 წლებისათვის ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელი საშუალო მაჩვენებელი 43,138 მლნ ლარს უტოლდება, რაც ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტით წარმოდგენილ ანალოგიურ მაჩვენებელს 1,322 მლნ ლარით (3.2%-ით) აღემატება. აღნიშნული სხვაობა ძირითადად გამოწვეულია საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მშპ-ს დეფლატორის განსხვავებული საპროგნოზო მოცულობით შესაბამისი პერიოდისათვის.




დიაგრამა 1: რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი



დიაგრამა 2: ნომინალური მშპ, მლნ ლარი, 2012-2019 წწ.




დიაგრამა 3: მშპ-ს დეფლატორი, 2012-2019 წწ.




დიაგრამა 4: სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის საშუალო, 2012-2019 წწ.

ფისკალური სექტორი


ფისკალური გარემოს ანალიზისათვის მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ბიუჯეტის მთლიანი სალდოს (GFSM 2001) მოცულობა, როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2016 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოსალოდნელი მოცულობა -1.2%-ს შეადგენს, რაც მცირედით განსხვავდება BDD-ით განსაზღვრულ მაჩვენებლისაგან ძირითადად ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების განსხვავებული პროგნოზის გავლენით. კერძოდ, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2016 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 8,694 მლნ ლარს შეადგენს, რაც BDD-ით წარმოდგენილ პროგნოზზე მცირედით ნაკლებია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან მიმართებით, მოდელში საბაზისო სცენარად განსაზღვრულია ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში განსაზღვრული ფისკალური გეგმა საშუალოვადიანი პერიოდისათვის (იხ. დიაგრამა #8).




დიაგრამა 5: ბიუჯეტის მთლიანი სალდო, %-ულად მშპ-თან, 2012-2019 წწ.



დიაგრამა 6: საგადასახადო შემოსავლები, მლნ ლარი 2016 წ. ცხრილი 1: საგადასახადო შემოსავლები, მლნ ლარი, 2016-2019 წწ.




დიაგრამა 7: საგადასახადო შემოსავლები, % მშპ-თან, 2012-2019 წწ.



დიაგრამა 8: ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა, %-ულად მშპ-თან, 2012-2019 წწ. წყარო: ფინანსთა სამინისტრო

ზემოაღნიშნული პროგნოზების გათვალისწინებით, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, სახელმწიფო ვალის მოცულობა (% მშპ-თან) 2016 წლისათვის 0.3%-ით გაიზრდება და 41.6%-ს მიაღწევს.¹ ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია სახელმწიფო ვალის კლებადი ტენდენცია ძირითადად საგარეო ვალის მოცულობის კლების გავლენით.




დიაგრამა 9: სახელმწიფო ვალი, % მშპ-თან, 2012-2019 წწ.

¹ სახელმწიფო ვალის შეფასება განსხვავდება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებულ ვალის მდგრადობის ანალიზში წარმოდგენილი ანალოგიური მაჩვენებლისგან, რადგანაც ვალის მდგრადობის ანალიზი ეყრდნობა BDD-ით წარმოდგენილ მაკრო-ფისკალურ პროგნოზებს


საგარეო სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2016 წლისათვის მოსალოდნელი მიმდინარე ანგარიშის ბალანსი -9.0% შეადგენს, ხოლო BDD-ით განსაზღვრული ანალოგიური მაჩვენებლის პროგნოზი -9.8%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მიმდინარე ანგარიშის ბალანსი საშუალო მოსალოდნელი მოცულობა -9.0%-ს გაუტოლდება.




დიაგრამა 10: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, %-ულად მშპ-თან, 2012-2019 წწ.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით მიმდინარე წლისათვის მოსალოდნელია ექსპორტის 17.2%-ით ზრდა წინა წელთან შედარებით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში ექსპორტის ზრდის ტემპი საშუალოდ 14%-ით განისაზღვრება. იმპორტის მოსალოდნელი ზრდის ტემპი 2016 წლისათვის 6.6%-ს შეადგენს და საშუალოვადიან პერიოდში კი საშუალოდ 11%-ს გაუტოლდება.



დიაგრამა 11: საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, %-ული ცვლილება წინა წელთან აშშ დოლარი, 2012-2019 წწ.



დიაგრამა 12: საქონლისა და მომსახურების იმპორტი, %-ული ცვლილება წინა წელთან აშშ დოლარი, 2012-2019 წწ.

დეტალურად მაკროეკონომიკური პროგნოზები მოცემულია ცხრილი #2-ში.

რეალური სექტორი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	6.4%	3.3%	4.7%	3.0%	3.5%	5.0%	4.7%	4.9%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	-0.9%	-0.5%	3.1%	4.0%	5.2%	4.8%	5.0%	5.4%
მშპ-ს დეფლატორი	1.1%	-0.7%	3.7%	6.1%	6.1%	5.9%	5.5%	5.2%
ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი								
მილიონი ლარი	26,167	26,847	29,150	31,877	35,016	38,935	43,012	47,466
მილიონი აშშ დოლარი	15,847	16,140	16,509	14,048	14,603	16,237	17,938	19,795
მშპ ერთ სულ მოსახლეზე								
ლარი	5,818	5,988	6,492	8,547	9,389	10,440	11,533	12,727
დოლარი	3,523	3,600	3,676	3,767	3,915	4,354	4,810	5,308
	% მშპ-თან							
აბსორბცია	119.6%	113.0%	117.5%	118.6%	115.0%	114.1%	114.3%	114.4%
მოხმარება	90.7%	88.2%	87.7%	87.4%	85.1%	83.7%	83.1%	82.6%
კერძო	81.1%	79.2%	78.6%	78.5%	76.8%	75.9%	75.4%	75.4%
სახელმწიფო	9.6%	9.0%	9.1%	8.9%	8.3%	7.8%	7.6%	7.2%
ინვესტიციები	28.9%	24.8%	29.8%	31.2%	29.9%	30.3%	31.2%	31.8%
კერძო	21.6%	19.6%	24.9%	24.8%	25.0%	25.1%	25.3%	25.9%
სახელმწიფო	7.3%	5.2%	5.0%	6.5%	4.9%	5.3%	5.9%	5.9%
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	19.0%	19.8%	19.7%	20.9%	20.8%	21.3%	22.1%	22.6%
სახელმწიფო	3.6%	2.6%	2.6%	3.6%	2.9%	3.6%	4.2%	5.0%
კერძო	15.4%	17.2%	17.1%	17.3%	17.9%	17.7%	17.9%	17.7%
	% მშპ-თან							
ფისკალური სექტორი								
შემოსავლები და გრანტები	28.9%	27.7%	27.9%	28.0%	27.2%	26.3%	25.9%	25.9%
საგადასახადო შემოსავლები	25.5%	24.8%	24.9%	25.1%	24.7%	24.0%	23.9%	24.1%
პირდაპირი გადასახადები	11.0%	11.2%	10.4%	11.1%	10.7%	10.3%	10.3%	10.5%
არაპირდაპირი გადასახადები	14.5%	13.6%	14.4%	13.9%	14.0%	13.7%	13.6%	13.6%
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	30.6%	29.3%	30.3%	29.6%	29.3%	28.0%	27.6%	26.9%
მიმდინარე ხარჯები	23.2%	24.1%	25.3%	24.4%	24.4%	22.7%	21.8%	21.0%
კაპიტალური ხარჯები	7.3%	5.2%	5.0%	5.3%	4.9%	5.3%	5.9%	5.9%
საოპერაციო სალდო	5.7%	3.6%	2.6%	3.6%	2.9%	3.6%	4.2%	5.0%
მთლიანი სალდო	-0.6%	-1.1%	-2.0%	-0.6%	-1.2%	-1.4%	-1.6%	-0.9%
სახელმწიფო ვალი	34.8%	34.7%	35.7%	41.3%	41.6%	40.4%	39.0%	37.4%
საგარეო	27.6%	27.2%	26.8%	32.5%	33.1%	31.8%	30.3%	28.8%
საშინაო	7.2%	7.5%	8.8%	9.0%	8.6%	8.6%	8.7%	8.6%
ფისკალური ბალანსი	-2.8%	-2.6%	-3.2%	-2.9%	-3.1%	-2.8%	-2.5%	-1.6%

მონეტარული სექტორი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
წმინდა უცხოური აქტივები	3.7%	4.5%	3.2%	2.6%	3.3%	3.0%	2.5%	1.4%
წმინდა საშინაო აქტივები	26.5%	32.2%	35.2%	40.9%	43.0%	46.4%	50.5%	55.6%
ფართო ფული M3	30.2%	36.6%	38.4%	43.4%	46.3%	49.4%	53.0%	57.1%
ფართო ფული M2	15.6%	20.2%	23.1%	21.2%	22.2%	24.2%	26.0%	28.1%
ფულის მიმოქცევის სიჩქარე								
M3	2.47	2.61	2.60	2.30	2.16	2.02	1.89	1.75
M2	4.49	4.94	4.93	5.36	5.28	4.94	4.62	4.30
საგარეო სექტორი								
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი (%-ული ცვლილება აშშ დოლარში)	14.9%	19.2%	-1.6%	-10.4%	17.2%	11.4%	15.8%	14.6%
საქონლისა და მომსახურების იმპორტი (%-ული ცვლილება აშშ დოლარში)	14.4%	1.5%	8.4%	-10.3%	6.6%	9.8%	15.0%	13.9%
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-11.7%	-5.8%	-10.6%	-10.7%	-9.0%	-8.9%	-9.0%	-9.1%
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	2873.0	2823.4	2699.2	2520.6	2569.2	2821.2	3245.2	3697.1
იმპორტის ჯერადი	3.2	3.3	3.2	3.2	3.2	3.2	3.2	3.2

ცხრილი 2: ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზები.